ოქმი N 8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2024 წლის 30 ივლისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. მალხაზი იოსავა
5. აკაკი მალანია
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. ნინო ბოკუჩავა
9. სერგო ბერაია
10. გურიელ ქარდავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ ბუკიას 2024 წლის 10 ივლისის N50-502419263 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე“).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ ბუკიას 2024 წლის 29 ივლისის N50-502421114 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ ბუკიას 2024 წლის 10 ივლისის N50-502419263 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე“).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების შედეგები (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი 6 თვის მაჩვენებლებით, დაგეგმილის შესაბამისად სრულდება

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარი - ივნისის შესრულების შედეგების თაობაზე წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ ბუკიას 2024 წლის 29 ივლისის N50-502421114 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები 1738,4 ათასი ლარით და განისაზღვრა - 27332,2 ათასი ლარით. გადასახდელები გადიდდა 1918,4 ათასი ლარით და განისაზღვრა 33073,6 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1700,0 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:

1700,0 ათასი ლარი შემოსავალი „საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)" გადასახადისაგან, საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 17 ივლისის N04-03/54952 წერილი;

215,0 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ: პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებები.

2024 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან აისახოს 180,0 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებები.

შემოსულობების ზრდით მიღებული 1700,0 ათასი ლარი (საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)), გამოთავისუფლებული 215,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) და ნაშთის 180,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი), სულ 2095,0 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე 11,1 ათასი ლარი,
პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 1574,8 ათასი ლარი,
პრიორიტეტის ,,დასუფთავება და გარემოს დაცვა" ასიგნებებზე 280,0 ათასი ლარი,
პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე 229,1 ათასი ლარი,

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია